საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორები: ლ. შ., გ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 11.01.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №003/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. გ.-ბ.-ისათვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 11 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ლ. შ.-მ და გ. შ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ გ. გ.-ბ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2018 წლის 07 დეკემბერს სასამართლოში მოწმის სახით იყვნენ დაკითხული მომიჯნავე მეზობლებს შორის არსებულ დავასთან დაკავშირებით. მათი მეზობელი ლ. ჭ. ითხოვდა ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობას, რომლის მიხედვით ამხანაგობამ მოპასუხეებს ვ. ბ.-ს და ნ. მ.-ს დაუდასტურა სახლის სხვენის ნაწილით სარგებლობა მისი დასაკუთრების მიზნით.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ამხანაგობის კრება ჩატარდა მათ ბინაში, შესაბამისად თავი ვალდებულად ჩათვალეს მისულიყვნენ სასამართლოში და როგორც მოწმეებს, მიეცათ ჩვენება.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, მოსარჩელე მხარის ადვოკატი გ. გ.-ბ. არარსებულ და გამოგონილ ფაქტებს ასახელებდა სასამართლო სხდომაზე, მოწმეებს შეურაცხყოფა მიაყენა და ცილი დასწამა. ადვოკატმა სასამართლო სხდომაზე რამდენჯერმე განმარტა, თითქოს საჩივრის ავტორებმა თვითნებურად დაისაკუთრეს მათი ბინის თავზე არსებული სხვენი და სხვა ქონება. პაექრობის დროს კი განაცხადა, რომ მოწმეებს არ დაეჯერებოდათ, რადგან კორპუსში მიტაცებული ჰქონდათ უამრავი ფართობი, ანუ მათ თაღლითობაში დასდო ბრალი. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატის განცხადება არ შეესაბამებოდა რეალობას და ცილისწამების გამო შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ გ. გ.-ბ.-ს 2019 წლის 22 იანვარს ჩაბარდა საჩივარი და განესაზღვრა ვადა პოზიციის წარმოსადგენად. ადვოკატს წერილობითი განმარტება ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი გ. გ.-ბ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია – საერთო სამართალი.

3.2 ლ. შ.-მ და გ. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს 2019 წლის 11 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 07 დეკემბერს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორთა პრეტენზია ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სასამართლოს წარუდგინა არასწორი ფაქტები, ცილი დასწამა მათ და თავიანთი ბინის თავზე არსებული სხვენისა და კორპუსის სხვა ფართების უკანონოდ მიტაცებაში დასდო ბრალი.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

5.3 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

5.4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

5.5 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

5.6 კოლეგიის შეფასებით, სადავო საქმეში ადვოკატი გ. გ.-ბ. წარმოადგენდა მოსარჩელე მხარეს. კოლეგია გაეცნო საჩივრის ავტორთა მიერ წარმოდგენილ 2018 წლის 07 დეკემბრის სხდომის ოქმს საქმეზე N2/XXXXX-18. სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ ლ. შ. და გ. შ.. სხდომის მიმდინარეობის დროს ადვოკატმა საკითხის გამოსაკვლევად კითხვები დაუსვა ლ. შ.-ს და გ. შ.-ს; ასევე კლიენტის ინტერესიდან გამომდინარე, ისინი მოიხსენია თავის საპაექრო სიტყვაში, კერძოდ: 18:34 წუთზე ადვოკატი განმარტავს, რომ ,,მის კლიენტს არაფერი შეხვდა, რადგან ყველაფერი აქვთ შ.-ებს რეგისტირირებული“. ადვოკატის პოზიციამ გამოიწვია ლ. შ.-ის გაღიზიანება და მოსამართლემ ლ. შ.-ს დაატოვებინა სხდომის დარბაზი.

5.7 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის მიერ დასმული კითხვები მიზნად ისახავდა საქმის გამოკვლევას და არა ლ. და გ. შ.-ის შეურაცხყოფას. ადვოკატმა გააჟღერა კლიენტის პოზიცია და მის მიზანს წარმოადგენდა კლიენტის ინტერესების დაცვა. მას, როგორც მოსარჩელე მხარის ინტერესების დამცველს, პროცესუალური უფლება ჰქონდა დაესვა კითხვები მოპასუხე მხარის მოწმეებისათვის და მათგან კლიენტის ინტერესებისათვის სასარგებლო

ინფორმაცია მიეღო. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს მოწმეებისათვის შეურაცხმყოფელი კითხვები არ დაუსვამს, მისი შეკითხვები მიზნად ისახავდა საკითხის გამოკვლევას. კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის განმხილველ მოსამართლეს ადვოკატისათვის შენიშვნა არ მიუცია და მისი ყველა შეკითხვა ჩათვალა საქმისათვის მნიშვნელობის მქონედ.

5.8 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 33–ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №003/19 ადვოკატ გ. გ.-ბ.-ის მიმართ /სიითი / არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/